ჩიბინდი

9

გამოცემის 54-ე წელი, (№ 1499). მაისი. 1977. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ბ. აბაზაძისა

— ხომ გითხარი, დავიცადოთ და ჩვენი ქარხნის გადაწყვეტილებაც გამოვა-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონის სვეტი

წყალი ჩვენი არსებისა...

სახარებაში ასე რომ დაეწერათ, ალბათ უფრო სწორი იქნებოდა. იმიტომ, რომ უპუროდ ადამიანი ორმოც დღემდე სძლებს, უწყლოდ კი, რა მოგახსენოთ, სამ დღეში, სამ წელს თოკზე გაკიდულ ტარანასავით გამოიფიტება. ამიტომაცაა რომ, დასავლეთ სამყაროში, ყბადაღებული სენსაციის მოყვარულნი უჭმელობაში „რეკორდებს“ ამყარებენ, მაგრამ უსმელობაში „სპორტულ მიღწევებზე“ არც ისე ბევრნი გამოთქვამენ სურვილს...

რედაქციაში დღე არ გავა, რომ გულისწყრომით სავსე წერილი არ შემოვიდეს — (წყლით სავსე მაინც იყოს...) — „წყალი არა გვაქვს“, „ნიანგო, გადაშველე, უწყლობით ვიხრჩობით“, „უფრო ბევრს გეტყოდით ჩვენს გაჭირვებაზე, მაგრამ პირი უწყლობით გვიშრება“ და ვინ მოთვლის რამდენი ისეთი წერილი, რომ ცრემლის ნაცვლად სულ კურცხალ-კურცხალ წყალს გადენინებს კაცს!

მოგეხსენებათ, ნიანგი წყლის დიდად მოყვარული ბრძანდება და ამიტომ ამ ნიაღვრად მოვარდნილ წერილებს გულგრილად ვერ აუცურდება გვერდით. ამჯერად თბილისიდან მოსულ წერილებზე გვინდა ვისაუბროთ (რადგან მთელი რესპუბლიკიდან მოსულ წერილებს ერთ სტატიაში კი არა, თბილისის ზღვაში ვერ ჩაატევთ...)

დავიწყოთ იქიდან, რომ თბილისში დღე-ღამეში 950 400 კუბური მეტრი წყალი შემოდის (ეს საკავშირო რეკორდია!) და 950 400 კუბური მეტრი წყალივე იხარჯება. ერთი წვეთიც არ რჩება! დაიხარჯოს, ბატონო, ღმერთმა შეგარგოთ, სვით, გული გაიგრილეთ, გახურებულ შუბლზე შეისხით (თუ გნებავთ, ლანძღვა-გინების წუმპის მაგიერ ნატახტარის ანკარა წყლით გაწუწეთ ერთმანეთი...) ასეთ მოხმარებას რაღაც მიზანი აქვს. მაგრამ საქმე უმიზნო დანაკარგშია. მერედა, იცით, ძვირფასო თბილისელებო, რამდენია ეს დანაკარგი? 15%. ეს კი 142 560 კუბური მეტრი ფუჭად დაღვრილი წყალია ერთ დღეღამეში! ერთი კუბური მეტრი კი 1000 ლიტრია! ჰოი, ციფრთა ყოვლისშემძლეობავ! ყველაფერი ნათელი და კონკრეტულია. მხოლოდ ერთი რამ არ არის ნათელი — სად მიდის ეს უმიზნოთ, დაუზოგავად, დაუდევრად, უანგარიშოდ, უყაირათოდ და უთაბაუთოდ დაღვრილი წყალი?... ნათელი არ არისო? როგორ გეკადრებათ! წყაროსავით ანკარა და ნათელია: შებრძანდით სადაც გინდათ, რომელ წარმოება-დაწესებულებაშიც გენებოთ, ფაბრიკა-ქარხანაში, სამინისტროებში, კომუნალურ თუ კოოპერატიულ ბინებში, კულტურულ დაწესებულებებში... და ნახეთ რა უკულტუროდ იღვრება წყალი. 95... ან თუნდაც 97% ყველა სანტექნიკური მოწყობილობებისა მოშლილია და მიჩხრიალებს წყალი თავის გზით... უფრო სწორად უგზოდ! ერთი ასანთის ღერის სისქეზე უფრო წვრილადაც რომ მოწანწკარებდეს, დღე-ღამეში 1000 ლიტრი წყალი იღვრება. როცა თითის სისქეზე და თანაც დაწნევით (ნაპორით) მოჩხრიალებს მაშინ? ეჰ, ვინ იცის რამდენ შადრევანს ეყოფოდა... (ახლა ვიღაცა იტყვის: შადრევანი, თორემ თბილისში მათი შხუილისაგან ყურთასმენაა წაღებულიო...) კი, ბატონო, შადრევანი კი არა, ვაჟა-ფშაველას, პავლოვის პროსპექტებზე გული რომ მიგდიოდეს ერთ წყლის სოკოს ვერ იპოვით, რომ სული მოითქვათ... სიტყვა გაგვიგრძელდა, ჰოდა, იღვრება წყალი, მე თქვენ გეტყვით და ვინმეს გული შესტკივა, ან ზრუნავს ამისათვის!? თუნდაც ძალიან შესტკიოდეს, მერე რა? მთელი თბილისი რომ მოიაროთ ერთ წესიერ ონკანს ვერ იშოვით. თუ იშოვით, დაყენება და წყლის გაშვება ერთია. ნახეთ? მერე გადაავლეთ გონების თვალი ეზოებში გარეცხილ მანქანებს, (რაო? რამდენი მანქანაა თბილისში? ძალიან ბევრი!), ტექნიკური წყლით კი არა, სასმელით მორწყულ ბაღჩა-ბაღებს... ამას ისიც დაუმატეთ, რამდენი ასხამს წყალს შაქრიან თუ უშაქრო ღვინოს! აბაა! ახლა შებრძანდით და ლაღიძის წყლების ერთად-ერთ მაღაზიაში გაიგრილეთ გული! (რუსთაველის პროსპექტზე...)

სხვათაშორის, თბილისში ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამეში 570 ლიტრი წყალი მოდის, — ესეც საკავშირო რეკორდია! — ჰოდა, ისღა დაგვრჩენია, იქით შეგეხვეწოთ, — „ნიანგი“ წყლის დიდად მოყვარული ბრძანდება და ნუ დაგვახრჩობთ უწყლობით!

— რამ შეგაშინა, ეგ ყაჩაღი კი არა, ჩვენი სახლმმართველობის სანტექნიკოსია!

მყავდა ერთი მეგობარი

ამბავს გეტყვით, მოუსმინეთ გულს, წიგნივით გადაშლილს:
ერთი ჩუმი კაცი ვიყავ, ვმუშაობდი სტამბაში.

მყავდა ერთი მეგობარი, როგორც პორთოსს — ათოსი,
სხვის წიგნებზე ილაშქრებდა კრიტიკული პათოსით!..

ერთხელ გზაში დამეტაკა, როგორც ბატკანს — ავაზა,
უცნაური გარიგება უცებ შემომთავაზა:

მოვთხარეო ერთი წიგნი შორეული ძმაკაცის,
ჩემი გვარით რომ დავბეჭდო, ტყავს ეგრევე გამაცლის...

მოვაწეროთ შენი გვარი, ხომ არ გიცნობს არავინ?
წასართმევი რამე არ გაქვს, არცრა — მოსაპარავი!

გავიფიქრე: დავთანხმდები, რა მოხდება ასეთი?
სანაცვლოდ კი ქვეყანაზე გამოვჩნდები გაზეთით!..

ასეც ვქენი, მაგრამ თქვენს მტერს, დღე მაყარა ავტორმა:
სტამბის კარი დამავიწყა უმუშევრად დამტოვა!..

მეც გავბრაზდი: სხვა რითა მჯობს, სხვების არ ვარ მე ტოლი?!
და კრიტიკულ აზროვნებას ვიწყებ ამ ფელეტონით.

მურად კერძევაძე

„ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი ტაეპის წაკითხვისათვის

(კონიექტურა)

ქვაბში, გაცნობისას, ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია!“

ეუბნება-მეთქი, გითხარით! მერედა, ეუბნება კი? უფრო სწორად, ასე ეუბნება? აი, რას ეძღვნება ჩემი მორიგი გამოკვლევა.

საქმე ის გახლავთ, რომ ავთანდილი ტარიელს სულ სხვა რამეს ეუბნება. გთავაზობთ ამ ტაეპის ახლებურ, ჩემეულ წაკითხვას:

„მე ვარ **პრარაბი, პრარაბებს გვაქვს ვ**რცელი დარბაზებია!“

გასაგებია, პატივცემულო ოპონენტო, **პრარაბი** ორი რუსული სიტყვისაგან შედგენილი აბრევიატურაა, მაგრამ პოეტისთვის, „რუსნი, სპარსნი, მოფრანგენიო“ რომ წერს, ჩანს, არც სიტყვა „პრარაბი“ უნდა ყოფილიყო უცხო.

თუ არა პრარაბის, მაშ, ვისი ხელმძღვანელობით უნდა აშენებულიყო რუსთაველის ეპოქაში ეს ამოდენა ტაძრები, სასახლეები, ხიდები, წყალსადენები! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვარძიის მშენებლობას არ სჭირდებოდა პრარაბი? ხურო, ქვითხურო, კირითხურო, ხუროთმოძღვარი, და, რა თქმა უნდა, **პრარაბი!**

რამდენმა ტაძარმა ვერ მოალწია ჩვენამდე! რამდენი სასახლე დაინგრა დროზე ადრე! ჰოდა, რა გინდათ ახლა, ყველაფერი იმ დეგენერატ მურვან ყრუს და შაჰ-აბასს დავაბრალოთ? არ ურევია, ვითომ, ამაში, იმდროინდელი მშენებლების, კერძოდ, პრარაბების ხელი?

ახალ ბინაში რომ გადახვალთ (ისე, ჯობდა, შეგეკავებინათ თავი), და ლოჯიაში პარკეტი გაქვთ დასაგები, ვის მოაქვს თქვენთან საჭირო მასალა? — ცხადია, პრარაბს. წესიერი სარდაფი რომ გინდათ შეგხვდეთ, ვის მიადგებით ფულით ხელში? — რა თქმა უნდა პრარაბს, ჰოდა, ვის მოაკლდა ეს მასალა, შენ რომ გაძლევენ? — ეჭვი არაა, შენს ახალ სახლს. აი, რატომ იშლება და ინგრევა იგი დროზე ადრე. ასე ინგრეოდა პრარაბების მიზეზით ძველი ტაძრებისა და სახლეების უმრავლესობა, რასაც ზოგიერთი უბირი მკითხველი კოჭლაბუხა თემურს და აღა-მაჰმადხანს აბრალებს! ინგრეოდა, სამაგიეროდ შენდებოდა თვითონ პრარაბის დარბაზი და ეზო კარი. აი, ეს მომენტია ნაგულისხმევი ავთანდილის ფრაზაში:

„მე ვარ პრარაბი, პრარაბებს გვაქვს ვრცელი დარბაზებია!“

— ავთანდილი არ იყო პრარაბი! ავთანდილი იყო სპასპეტი! — აი, რას წამოიძახებს პირველად ჭკვიანი მკითხველი, დარწმუნებული იმაში, რომ ეს პოლკოვნიკი კაცი პრარაბობაზე არ დათანხმდებოდა. გეთანხმებით: ავთანდილი არ იყო პრარაბი, მაგრამ არც ვამტკიცებ მე ამას. მე იმას ვამტკიცებ მარტო, რომ ავთანდილმა, პრარაბი ვარო, თქვა.

რა გამოდის! ავთანდილს ტყუილი უთქვამსო! — ახლა ამაზე შემომედავება მკითხველი.

დიახ! და, სხვათა შორის, პირველად არა! მამა უცხონდა, ჯერ არავინ მოუტყუებია! არც ვაჭარი გახლდათ ავთანდილი, მაგრამ ვაჭარი ვარო, გამოაცხადა, ჩამოიცვა ჩოხაზე მწვანე სახელოები, ჩადგა დახლში და მთელი დღე დედერონის ბლუზები და მინიუბკები ყიდა! ვიცით ჩვენ, რისთვისაც სჭირდებოდა ეს ტყუილი, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით. ხოლო, პრარაბი ვარო, ეს რაღაზე მოიტყუა, ვერ გეტყვით. იქნებ თავი მოიწონა, კარგი დარბაზები მაქვსო, და ნათქვამისთვის რომ მეტი დამაჯერებლობა მიეცა, პრარაბი ვარო, თქვა, — პრარაბს უფრო დაუჯერებენ დიდი და ვრცელი დარბაზების ქონასო. მოკლედ, არ ვიცი, და საერთოდ კვლევა ამ მიმართულებით სულაც არ მიმაჩნია დასრულებულად. საბოლოოდ და დადგენილად ვთვლი მარტო ზემოთ მოტანილი ტაეპის ახლებურ წაკითხვას:

„მე ვარ პრარაბი, პრარაბებს გვაქვს ვრცელი დარბაზებია!“

ტია-ტია

საკვარტეტო მესტვირული

— გეფიცებით მზესო,
ასე იყო ესო: —
მეცა ვნახე,
— მეცა ვნახე,
— მეცა ვნახე,
— მეცო.
— დღე მისდევდა დღესო,
ფული ჰგავდა ბზესო,
მეცა ვჭამდი,
— მეცა ვჭამდი,
— მეცა ვჭამდი,
— მეცო.
— ერთ მშვენიერ დღესო
აღმოგვაჩინესო, —
მეც ჩამავლეს,
— მეც ჩამავლეს,
— მეც ჩამავლეს,
— მეცო.
— ჩვენს მოსამართლესო
ქარი გაუდგესო,
მე ცხრა მომცა,
— მე — თერთმეტი,
— მე — თორმეტი,
— მეცო.
— გეფიცებით მზესო,
ასე იყო ესო:
შენც გახსოვდეს,
— შენც გახსოვდეს,
— შენც გახსოვდეს,
— შენცო!!

ბორის გუგეშაშვილი
ონი, სოფ. მაჟიეთი

უფასო უფროსის პრახი

ჯერ ფასი
არ
დაუკარგავს
აქა-იქ
„გვარიშვილობას“, - —
ათასად
სიბრძნე
დაფასდა,
უფროსის
მდივნის
მდივნობაც,
მაგრამ
უფროსი
იმსხვერპლა
თვის
ენა-
წავარ-
დნილობამ,
და, განა,
მხოლოდ
უმცროსსა,
უფროსსაც
მართებს
ზრდილობა!

ილია აროსია



ნახ. მ. აბაშიძისა

— რაზეა რიგი?
— ვიცი და არ გეუბნები?!

„ᲐᲠᲐᲠᲔᲚᲘᲐᲜᲘ“

— **ᲔᲠᲗᲘ** რამე ვიცი, ერთი რამე ვიცი! — ოთახში დაბერტყუნებდა ბიჭუნა.

ბებია, იგივე დედამილი, რომელიც თავის რძალთან „ცივი ომის“ პოლიტიკას ატარებდა, დაინტერესდა შვილიშვილის „საადგენტოს“ უკანასკნელი ცნობებით:

— ბებია გენაცვალოს, მითხარი, „ერთი რამე“ ვისზე იცი?

— ბებიკო, იცი. რომ უნივერმაღში ახალი მარკის ველოსიპედი იყიდებაო? — შვილიშვილმა დილომატიური ასპეტით სიტყვა ბაბზე ავადო.

ბებიას ეძერნა შვილიშვილის ნოტა და მასთან მოლაპარაკება შეწყვიტა.

მოგეხსენებათ, მთელი ჩვენი კაცობრიობა ცნობისმოყვარეობით ცხოვრობს, ბებიაც ხომ მისი მემილიარდედი ნაწილია, ამიტომ ვერ გაუძლო ცნობისმოყვარეობის ცოფენებას და შვილიშვილ ველოსიპედი მიეტანა, თან ამაყად მიმართა:

— აბა, ახლა მითხარი!

— დედაჩემმა შენზე თქვა, ეგ ისე ზარმაცად იქცევა, ნამდვილად ისეა სოფელში მოიწვევ ნეთრეკეთ! — უპასუხა შვილიშვილმა.

გაჯიდა ხანი. ბიჭუნამ თავისი დიდის გარშემო სიმდერით დაიწყო ტრიალი:

— ერთი რამე ვიცი, ერთი რამე ვიცი!

— ბებიაშენმა ჩემზე თქვა, არა?!

— თქვაო, თქვაო! — არ ცხრებოდა ბიჭუნა. — — **ᲔᲠᲗᲘ** რამე ვიცი, ერთი რამე ვიცი! — ოთახებში დაბერტყუნებდა ბიჭუნა.

ბებია, იგივე დედამილი, რომელიც თავის რძალთან „ცივი ომის“ პოლიტიკას ატარებდა, დაინტერესდა შვილიშვილის „საადგენტოს“ უკანასკნელი ცნობებით:

— ბებია გენაცვალოს, მითხარი, „ერთი რამე“ ვისზე იცი?

— ბებიკო, იცი. რომ უნივერმაღში ახალი მარკის ველოსიპედი იყიდებაო? — შვილიშვილმა დილომატიური ასპეტით სიტყვა ბაბზე ავადო.

ბებიას ეძერნა შვილიშვილის ნოტა და მასთან მოლაპარაკება შეწყვიტა.

მოგეხსენებათ, მთელი ჩვენი კაცობრიობა ცნობისმოყვარეობით ცხოვრობს, ბებიაც ხომ მისი მემილიარდედი ნაწილია, ამიტომ ვერ გაუძლო ცნობისმოყვარეობის ცოფენებას და შვილიშვილ ველოსიპედი მიეტანა, თან ამაყად მიმართა:

— აბა, ახლა მითხარი!

— დედაჩემმა შენზე თქვა, ეგ ისე ზარმაცად იქცევა, ნამდვილად ისეა სოფელში მოიწვევ ნეთრეკეთ! — უპასუხა შვილიშვილმა.

გაჯიდა ხანი. ბიჭუნამ თავისი დიდის გარშემო სიმდერით დაიწყო ტრიალი:

— ერთი რამე ვიცი, ერთი რამე ვიცი!

— ბებიაშენმა ჩემზე თქვა, არა?!

— თქვაო, თქვაო! — ეს ეს ეს, ეს ეს ეს, ეს ეს ეს,

ნახ. ა. კანდელაკისა

— ეს იმ ღორს გაუმარჯოს, ჯაგარს რომ მოგცემს და რკოს არ მოგთხოვს!..

დი—ნა—მო!!!

პირველად საწყობის გამგემ იყვირა:

— დინამო!

მას საამქროს უფროსი აჰყვა:

— დინამო!

მერე ქვეოსტატის ტენორმა გააპო ჰაერი:

— დინამო!

— დინამო! — ვიკივლე მეც.

ბოლოს ხმაშეწყობილად დავიქუხეთ:

— დი-ნა-მო!!!

აწი აღარაფერი გვიჭირს. საამქრო ერთ თვეს იმუშავებს რიტმულად. ქარხნის ეზოში დინამომანქანების დიდი პარტია გადმოტვირთეს.

გიგი კონტრიძე

ნახ. ბ. დეისაძისა

— რა მშვენიერია, საიდან?!
— ჩემი მეუღლე არქეოლოგია.

ვერ ეტევა ძალა

კაბინეტის მყუდროება სპეცტანსაცმელში კამოწყობილმა ახალგაზრდა კაცმა დაარღვია. მან რედაქტორს ფელეტონი გადასცა. რედაქტორმა დუდუნით დაიწყო კითხვა:

„...რედაქტორმა აათვალიერ-ჩაათვალიერა მოსული და ფელეტონს დახედა.

— მაშ, ქარხანა „სულძრავა“ უხარისხო სავარცხლებს უშვებს, არა? — მთქნარებ-მთქნარებით იკითხა რედაქტორმა.

— დიახ!

— აღნიშნულ ფაქტს შემოწმება უნდა, გამოიარე ორი კვირის შემდეგ!

როგორც კი სპეცტანსაცმლიანმა კაბინეტის კარი ნიხურა, რედაქტორი ტელეფონს დასწვდა:

— ალო, ქარხანა „სულძრავაა“? ალმასხან, რედაქციაში ფელეტონია შემოსული თქვენი ქარხნის უგეგმობაზე! რაშია საქმე?!

— რაშია საქმე და, ქარხანა „გაიმეტე“ მასალას არ გვიგზავნის!

— მოკლედ, მიხედე საქმეს! — ურჩია რედაქტორმა.

„სულძრავას“ დირექტორმა სასწრაფოდ აცნობა „გაიმეტეს“ უფროსს:

— რედაქციაში ჩვენზე ფელეტონია შესული, რომელიც თქვენი უგეგმობითაა გამოწვეული... მიხედეთ საქმეს!..

— კომბინატი „თხარე“ დროულად არ მაწვდის კარიერიდან ალუმინს! ახლა რა ვქნა მე?! — „გაიმეტეს“ უფროსმა აიჩეჩა მხრები, მერე კომბინატ „თხარეს“ უდეპეშა: „რედაქციაში ფელეტონია შესული „სულძრავასა“ და „გაიმეტეს“ უგეგმობაზე, რომელიც „თხარეს“ უგეგმობითაა გამოწვეული! მიხედეთ საქმეს!“

კომბინატ „თხარეს“ დირექციამ მაშინვე თანამშრომელთა საერთო კრება მოიწვია და განაცხადა:

— რედაქციაში ფელეტონია შესული, „სულძრავას“, „გაიმეტეს“ და „თხარეს“ თათხავენ... მივხედოთ საქმეს!..

— საქმეს როგორ მივხედოთ?! — აყვირდა ინტრიგაძე, — ნორმალური მუშაობისათვის ახალი ინსტრუმენტები ჩვენ არა გვაქვს!

— თავი შეიკავე, ინტრიგაძევ! — გადაუჩურჩულა მას ნეიტრალაძემ და ბებერაზე „ცებო“ დააჭირა.

ინტრიგაძემ ვერ შეიკავა თავი და კრება დემონსტრაციულად დატოვა...“

რედაქტორმა აათვალიერ-ჩაათვალიერა ფელეტონი და მოსულს მიმართა:

— ფინალი არ მომწონს! გაურკვეველია, სად შეიძლებოდა წასულიყო ინტრიგაძე, ან ვინ არის იგი, როგორც პიროვნება?!.

— ინტრიგაძე მე გახლავართ! — გაიღრიჯა მოსულმა.

რედაქტორმა ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა მოსული და ფელეტონს დახედა:

— მაშ, ქარხანა „სულძრავა“ უხარისხო სავარცხლებს უშვებს, არა? — იკითხა მთქნარებ-მთქნარებით.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! — დახარა თავი მოსულმა.

— გაჩერდი, კაცო, ვის ჭირდება შენი გამხმარი კისერი?! აღნიშნულ ფაქტს კი შემოწმება უნდა! გამოიარე ორ კვირაში!

როგორც კი სპეცტანსაცმლიანმა კაბინეტის კარი მიიხურა, რედაქტორი ტელეფონს დასწვდა:

— ალო, ქარხანა „სულძრავაა“? ალმასხან, რედაქციაში თქვენზე ფელეტონია მოტანილი...

მალხაზ ცოტაძე

ასენ გოსევი

(ბულგარეთი)

შავად მზირალი

პირდაპირ და სახელდებით
არ ვამყღავხებ, ვიხ არი,
მაგრამ ქვეყნად ჯერაც ისევ
გვხვდება შავად მზირალი.
უკავია ხელში რაღაც
მოთხუპნილი ქაღალდი
და გაისმის მისი ეგზომ
აბეზარი ღაღადი:
— ქალაქი გვაქვს მახინჯი და
ჭუჭყიანი ძალიან,
მაგრამ ხალხი ეუბნება,
ყური გვიგდე ძამია:
— რამ დაგბადა ამდაგვარი
უცნაური არსება,
ეს ქალაქი მოკლე დროში
ბაღნარს დაემსგავსება
და ზღაპრული სილამაზე
გაგაოცებს ნამდვილად,
სკოლებსა და მაღაზიებს
ვერ დაითვლი ადვილად.
ვიტრინებსაც მზის სხივები
მოევლება ვარაყად,
ვარდით ნაქარგ გამზირებზე
ისეირნებ ამაყად.
მაგრამ იმ ტიპს მაინც ისევ
ეჭვის ჭია იმონებს,
გაქირით და სიჯიუტით
წარსულ ამბებს იგონებს:
მახსოვს, ბრინჯი შევიძინე,
დიდი ხანი არც არი,
ჭოდა, აი, შიგ აღმოჩნდა
ჭუჭყის შავი მარცვალი.
ხოლო ერთხელ ფუნთუშაში
თავთავის ფხა ერია...
და ჩემს თვალში მთელ ქვეყანას
ახლა მუქი ფერი აქვს.
შემთხვევითი არ არის, რომ
პურს ხარისხი აკლია.
კომბაინით გალეწვა ხომ
უდიდესი ნაკლია!
სოფლად ვიყავ ზაფხულში და.
ვიტყვი, გახლავთ სიმართლე:
რომ ცხოვრობენ უკეთესად,
აქვთ გაზი და სინათლე.
მაგრამ საქმეს თუ ჩავწვდებით,
ვით წესი და რიგია,
ყველაფერზე აუგი და
საძრახისი იგია,
რომ როდესაც წვიმა მოდის,
გზებზე ჩნდება ტალახი,
სიცხეში კი მტვრის ბოღია
და შემჭკნარი ბალახი...
ვფიქრობ, თხრობის გაგრძელება
აღარაა საჭირო,
ეს მზე შავად მზირალისთვის
ოდი არის საჩინო.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანიდან გვატყობინებდნენ: ოქტომბრის ქუჩაზე, კეთილ-მოწყობილ ორსართულიან სახლში ცხოვრობს ექიმბაში ზოია კუსიანი — თუ ჯანმრთელობას უჩივით, მიბრძანდით და „იმკურნალეთო“. „ნიანგს“ არაფერი სჭირს სამკურნალო, ამიტომაც აღნიშნული წერილი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაუგზავნა. სამინისტრომ შეისწავლა „მკურნალის“ ასავალ-დასავალ-შემოსავალი და პასუხი გამოგვიგზავნა: ...„ზ. კუსიანი სასტიკად იქნა გაფრთხილებული და ჩამოერთვა ხელწერილი. თუ იგი კვლავ შემჩნეული იქნება ასეთ საქმეში მის მიმართ აღიძრება სისხლის სამართლის საქმე.

აღნიშნულის შესახებ ჩვენს მიერ წერილობით ეცნობა გურჯაანის რაიონის „პროკურორს“.

იქნება ექიმბაშს სტაციონალური მკურნალობაც კი დასჭირდეს...

—:—

ხობის რაიონის ერთი სოფლის ერთ ავტონაწილების მაღაზიას სხვადასხვა სათადარიგო ნაწილების სიძვირის გამო ცეცხლი უკიდიაო, — გვწერდა ავტომოყვარული. წერილი საქ. კპ. ხობის რაიკომს გადაეგზავნა, საიდანაც პასუხი მივიღეთ: „...წერილში მოყვანილი ფაქტები წინასწარ მოკვლევით სინამდვილეს შეეფერება, რისთვისაც მასალები კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად გადაეცა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას. საბოლოო შედეგებზე გეცნობებათ დამატებით“.

ავტომაღაზიაში თუ ცეცხლფარეშები აღარ იქნებიან, ავტონაწილებს ცეცხლს რაღა წაუკიდებს...

ჟანი სიხარულიძე

ნახ. გ. ფირცხალავასი

317
19.V 77

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Индекс 76137

ნახ. გ. ლომიძისა

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ დაუსონში გასამართლებას უპირებენ ხუთ ზანგ ჭაბუკს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ელით.

17-17 წლის ჯეიმს ჯექსონსა და რუზველტ უოტსონს, 18-18 წლის ჯ. დ. დეივენპორტს და ჯონ ჯექსონს, 21 წლის ენდერსონ უოტსონს სრულიად უსაფუძვლოდ აბრალებენ მკვლელობას.

თვალახვეული თემიდას მორიგი მსხვერპლი

მთავარი რედაქტორი ზურღან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 6/IV-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IV-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1218. ᲣᲔ 00685. ტირ. 141.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი ოფსეტის ავტორები: ბ. ბაბუიძე, ბ. დეისაძე, ს. თურქანიძე, გ. ლოლაძე, ბ. ბერთაშვილი, ბ. ტორიაშვილი, ბ. ფირცხალავა, ბ. ცოტაძე.